ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 12

ქ. თბილისი **13.03.2017**

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

გრიგოლ მურღულია - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი.

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

ქეთევან აბულაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის #126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;

არჩილ სუმბაძე - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის" აკადემიური დირექტორი;

თამარ კაპანაძე - სსიპ - თბილისი კლასიკური გიმნაზიის დირექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (მ/შ);

თამარ ხატიაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. **ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია**
   დეკანოზი მირიანი (მერაბ ფირცხალაიშვილი)-გიმნაზიის პრორექტორი;
   ლევან გიორგაძე-რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში.
2. **შპს კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმი ფესვები**
   მაია ალანია-სკოლის დირექტორი;
   ლელა გორდულაძე-დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში.
3. **შპს ბრიტანულ ქართული აკადემია**
   ნათია ჯანაშია-დირექტორი;
   მადონა ღიბრაძე-იურისტი;
   ზურაბ სამარღანიშვილი- საშუალო და საბაზო სკოლის დირექტორი;
   ლანა ორაგველიძე- ადმინისტრაციის მენეჯერი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

ლია გრიგოლია;
დავით ჩივაძე;
ნინო ფეტვიაშვილი;
მაია ბოჭორიშვილი;
მარიამ ხუციშვილი;
ნოდარ ანგურიძე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანამანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ მურღულია.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 15:05 საათზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმი ფესვების ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ლია გრიგოლიამ და დავით ჩივაძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეულ სტანდარტთან მიმართებით.

ექსპერტმა ლია გრიგოლიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში დამკვიდრებული იყო მართვის ორგანიზაციულ თანამშრომლობითი კულტურა და გასაუბრებიდან იკვეთებოდა მშობლებისა და მოსწავლეების დიდი კმაყოფილება.

1.1 საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით ექსპერტმა ლია გრიგოლიამ აღნიშნა რომ:

ა) ა(ა)იპ „ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ნათლისმცემელის სახელობის სასულიერო გიმნაზიის“ 2016-2017 სასწავლო წლის სასწავლო გეგმის თანახმად, გიმნაზიაში ისწავლებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი, თუმცა, ზოგიერთი საგანი განსხვავებული სქემით იყო წარმოდგენილი. კერძოდ, პირველ კლასში მათემატიკას ორივე სემესტრში ხუთ-ხუთი საათი ეთმობოდა, VIII- IX კლასებში მუსიკასა და ხელოვნებას - თითო-თითოსაათი, VIII- XII კლასებში ფიზკულტურას - თითო -თითო საათი, ხოლო XI - კლასში საგზაო მოძრაობის წესებსა და უსაფრთხოებას - ერთი საათი მთელი წლის განმავლობაში.

ბ) დამატებით სავალდებულო საგნად სასულიერო გიმნაზია მოსწავლეებს სწავლების სამივე საფეხურზე სთავაზობდა „ საღვთო სჯულს“ და „ მოძღვრის საათს“. საღვთო სჯული პირველი - მეცხრე კლასელთათვის ტარდებოდა კვირაში ორ-ორი საათი, ხოლო V- IX კლასებში მოძღვრის საათს დათმობილი ჰქონდა კვირაში თითო საათი, X-XII კლასებში კვირაში კი - ორ- ორი საათი. სასწავლო გეგმას თან ერთვოდა გიმნაზიის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამა.

გ) სასულიერო გიმნაზიაში განხორციელებული თუ დაგეგმილი ყველა აქტივობა გამომდინარეობდა სასკოლო სასწავლო გეგმიდან და შესაბამებოდა სკოლის მისიას.

მოსწავლეთა განსხვავებული ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებდა შემდეგი წრეები: ხატვის, შრომის, ქორეოგრაფიის, ჭადრაკის და საღვთო სჯულის. წრეები საქმიანობას ახორციელებდნენ გიმნაზიის რექტორის მიერ დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად.

დ) სასკოლო სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის ყველა კომპონენტი გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას.

ე) სკოლასთან ფუნქციონირებდა რამდენიმე ჯგუფი: მოსამზადებელი ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული იყო წინასასკოლო ასაკის ბავშვებისაგან, გახანგძლივებული სწავლების ჯგუფი I-IV კლასების მოსწავლეებისათვის და ჰუმანიტარული და ტექნიკური პროფილის ჯგუფები XII კლასის მოსწავლეებისთვის შემდეგ საგნებში: მათემატიკა, უცხო ენები (რუსული, გერმანული), ბიოლოგია, გეოგრაფია.

სამივე ჯგუფში მოსწავლეთა გაერთიანება იყო ნებაყოფილობითი და სწავლება მიმდინარეობდა წინასწარ დამტკიცებული სამუშაო (თემატურ–კალენდარული) გეგმის მიხედვით, რომელსაც განიხილავდა სასულიერო გიმნაზიის ორგანიზატორი და ამტკიცებდა გიმნაზიის რექტორი/რექტორის მოადგილე.

ვ) მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო ბადეში შემცირებული იყო სპორტის საათები, სკოლაში ფუნქციონირებდა სპორტული სექციები. სკოლის მოსწავლეებს ჰქონდათ სპორტული მიღწევები ჭადრაკსა და ჭიდაობაში.

ზ) წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აწვდიდნენ ინფორმაციას შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. ცალკეული საგნების შეფასების რუბრიკები გამოკრული იყო საკლასო ოთახებში და მასწავლებელი მოსწავლის შეფასებისას ეყრდნობოდა ამ სქემებს.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, თუ რა სახის იყო შემაჯამებელი დავალებები. ექსპერტის განმარტებით, შემაჯამებელი დავალებები იყო მრავალფეროვანი. სამუშაოების დასრულების შემდეგ ხშირად გამოიყენებოდა მოსწავლეთა თვითშეფასება, წლის ბოლოს კი ყველა მასწავლებელი თითოეული მოსწავლისათვის ქულასთან ერთად წერდა როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას, რომლის დროსაც გამოყოფდნენ მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს.

საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ მურღულია დაინტერესდა, თუ რა განსხვავება იყო რელიგიის ისტორიასა და მოძღვრის საათს შორის და რომელი ქრისტიანულ განმარტებები გამოიყენებოდა სწავლებისას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საღვთო სჯული მოიცავდა ქრისტიანულ სწავლებას, სახარებას და რელიგიის ისტორიას, ხოლო მოძღვრის საათი კი წმინდა მართლმადიდებლურ სწავლებას წარმოადგენდა. დაბალ კლასებში გამოიყენებოდა თეოფილაქტე ბულგარელის განმარტებები, რადგან იგი უფრო მარტივად აღსაქმელი იყო, ხოლო ზედა კლასებში - იოანე ოქროპირის და სხვათა განმარტებები.

1.2 მატერიალურ რესურსთან მიმართებით ექსპერტ დავით ჩივაძის განმარტებით დაწესებულება აკმაყოფილებდა მატერალური სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ:

ა) ა(ა)იპ -საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზი მდებარეობდა ქ. ლანჩხუთში, ჩხაიძის ქუჩა N 4. დაწესებულება დაფუძნებული იყო 2009 წელს, ქონების მესაკუთრეს წარმოადგენდა საქართველოს საპატრიარქო, ხოლო მონათხოვრეს ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზია.

ბ) სკოლაში იყო 16 საკლასო ოთახი, საგაკვეთილო პროცესი ძირითადად მიმდინარეობდა 12 საკლასო ოთახში, დანარჩენი ოთხი გამოიყენებოდა შემდეგი დანიშნულებით: ფიზიკა-ბიოლოგიის ლაბორატორია, ქიმიის ლაბორატორია, უცხო ენების კაბინეტი, მოსამზადებელი ჯგუფის სასწავლო ოთახი. გარდა საკლასო ოთახებისა, სკოლის მეორე სართულზე განლაგებული იყო: კომპიუტერული კლასი, ორგანიზატორთა ოთახი, ჭადრაკის წრისათვის განკუთვნილი მცირე ზომის ოთახი. გიმნაზიის პირველ სართულზე განლაგებული იყო რექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, ეკლესია, ბუფეტი, სველი წერტილი, დარაჯის ოთახი.

გ) საკლასო ოთახებში აღჭურვილი იყო 269 ერთადგილიანი და 34 ორადგილიანი მერხით, 350 სკამით დაფებით, მასწავლებლის მაგიდებით და აუცილებელი სასწავლო ინვენტარით, ასევე სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსებითა და თვალსაჩინოებებით, (მაგ. რუკებით, სასწავლო პლაკატები, მოსწავლეთა ნამუშევრებით და ა.შ.)

დ) სკოლას ჰქონდა კეთილმოწყობილი, თანამედროვე სტანდარტებით აშენებული სპორტული დარბაზი (398.09 კვ.მ.), რომლის ძირითადი ფართი მოიცავდა სათამაშო მოედანსა და მაყურებელთათავის განკუთვნილ ტრიბუნებს. სპორტდარბაზს ჰქონდა ორი გასახდელი და საშხაპე. სპორტდარბაზი გამოიყენებოდა ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთისა და სხვა სპორტული აქტივობებისათვის. იგი აღჭურვილი იყო მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარით.

1.3.ადამიანურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა ლია გრიგოლიამ აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა 32 მასწავლებელი, რომელთა ნაწილი მუშაობდა გახანგრძლივებულ და მოსამზადებელ ჯგუფშიც. სასულიერო გიმნაზია ჩართული იყო მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, 17 მასწავლებელს მინიჭებული ჰქონდა პრაქტიკოსი მასწავლებლის, ხოლო 13-ს კი უფროსი მასწავლებლის სტატუსი. გიმნაზიის ორი პედაგოგი არ იყო ჩართული მასწავლებლის კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარების სქემაში, რადგან ერთი მათგანი ასწავლიდა მოსამზადებელ ჯგუფს, მეორე კი გახანგრძლივებული ჯგუფის პედაგოგი იყო.

საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა მოსწავლეთა კონტიგენტით. დაწესებულების წარმოადგენლის განცხადებით, სკოლას ამჟამად ჰყავდა 240 მოსწავლე .

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 300 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ- საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე

ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ლანჩხუთის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიას (ს/კ:233734082) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

ავტორიზაციის ექსპერტმა მაია ბოჭორიშვილმა ავტორიზაციის საბჭოს მიმართა შუამგომლობით დღის წესრიგთან დაკავშირებით და ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელის, ნინო ფეტვიაშვილის სახელით სთხოვა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-2 საკითხი - შპს კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმი ფესვების ავტორიზაციის საკითხი განხილულიყო რიგით მე-3 საკითხად, ხოლო შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის ავტორიზაციის საკითხი კი - რიგით მე-2 საკითხად.

ავტორიზაციის საბჭო ერთხმად დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას.

2. შპს ბრიტანულ ქართულ აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აღსანიშნავია, ის გარემოება რომ დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა მოხდა 2017 წლის 10 თებერვლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა მარიამ ხუციშვილმა და ნოდარ ანგურიძემ, რომლებმაც აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეულ სტანდარტთან მიმართებით.
2.1 საგანამანათლებლო პროგრამებთან მიმართებით ექსპერტმა მარიამ ხუციშვილმა აღნიშნა, რომ შემაჯამებელი დავალებების აღდგენასთან დაკავშირებული სკოლის მიერ შემუშავებული წესი ეწინაამდეგებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. კერძოდ, აკადემიის შეფასების სისტემის მიხედვით, მოსწავლის მიერ გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე საპატიო მიზეზით აცდენდა შემაჯამებელ დავალებას. შემაჯამებელი დავალების არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლეს არ ჰქონდა შემაჯამებელი დავალების აღდგენის უფლება და ის მიიღებდა შეფასებას „1". ექსპერტის განმარტებით, აღნიშული ეწინააღმდეგებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და 32-ე მუხლი მე-11 პუნქტის თანახმად, სკოლა ვალდებული იყო მოსწავლისათვის მიეცა შემაჯამებელი დავალების აღდგენის უფლება. კონკრეტულ ვადებს კი ადგენდა თავად სკოლა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული ნორმით დადგენილი რეგულაციის მიზანი იყო მოსწავლეთა მხრიდან შემაჯამებელი დავალებების არა საპატიოდ გაცდენის შემთხვევების შემცირება. იგი ვრცელდებოდა მხოლოდ არასაპატიო გაცდდენის შემთხვევებზე, თუმცა დაწესებულება ითვალისწინებდა ჯანმრთელობის მდგომარეობის, მშობლის განცხადების ან სხვა საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევებსაც.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ წარმოუდგენლად მიიჩნია გაცდენის შემთხვევაში, შემაჯამებელ დავალების შეუსრულებლობის გამო მოსწავლის შეფასება, (მითუმეტეს ერთი ქულით). მან დაწესებულებას მიმართა კითხვით, თუ რაში ეწერებოდა მოსწავლეს 1 ქულა.

დაწესებულების წარმომადგენელის განმატებით 1 ქულა ნიშნავდა ჩაჭრას.

რევაზ აფზავას განაცხადებით, მისთვის გაუგებარი იყო , თუ რატომ ნიშნავდა ქულა ჩაჭრას და როგორ იწერებოდა ნიშანი, როცა მოსწავლე არ ესწრებოდა.
საბჭოს დანარჩენმა წევრებმაც გაიზიარეს რევაზ აფხაზავას მოსაზრება.

სხდომის თავმჯდომარემ გრიგოლ მურღულიამ აღნიშნა, რომ საბჭო ნამდვილად არ იყო მიმართული სკოლის ინიციატივების ჩახშობისკენ, თუმცა საბჭო ვალდებული იყო დაედგინა მათი შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებთან. მისი განმარტებით, ეროვნული სასწავლო გეგმა აღნიშნულთან დაკავშირებით ადგენდა იმპერატიულ მოთხოვნას და აკეთებდა მკაფიო განმარტებას. დაწესებულების გადაწყვეტილება კი ეწინააღმდეგებოდა დადგენილ მოთხოვნებს, გრიგოლ მურღულიას განმარტებით, აკრძალული იყო არააკადემიური თვალსაზრისით შეფასება და არ შეიძლებოდა ცუდი მოქცევისთვის შეფასება. მან რეკომენდაცია გაუწია დაწსებულებას, შეეცვალა აღნიშნული წესი.
გრიგოლ მურღულიამ კითხვით მიმართა დაწესებულებას, რამდენად გაითვალისწინებდნენ საბჭოს რჩევას და აპირებდნენ თუ არა შეფასების სისტემის ცვლილებას.

დაწესებულების წარმომადგენელის, ნათია ჯანაშიას განმარტებით, დაწესებულება გაითვალისწინებდა რეკომენდაციას და მოახდენდა შეფასების წესის ცვლილებას, თუმცა დაამატა რომ საბჭოს წევრების მოსაზრებას არ ეთანხმებოდა, რადგან ეს ერთიანი არ იწერებოდა ქცევაში.

2.2 მატერიალურ რესურსის სტანდარტთან მიმართებით აღინიშნა, რომ მონიტორინგის განხორციელების შემდეგ დაწესებულების მატერიალურ მდგომარეობასთან მიმართებით არაფერი შეცვლილა.
ექსპერტის განმარტებით, გარკვეული პრობლემები არსებობდა შენობის ფლობასთან დაკავშირებით. კერძოდ, შპს ბრიტანულ ქართული აკადემია მდებარეობდა ქ. თბილისში, ლისის ტერიტორიაზე. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აკადემია ფლობდა მხოლოდ 10000 კვ.მ. მიწის ნაკვეთს, თუმცა მასზე განთავსებული შენობები კი, სადაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ იყო. სკოლიეს შენობის აშენებისთვის მშენებლობის ნებართვა გაცემული იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურიის მიერ, რომლითაც გათვალისწინებული იყო "ა" ბლოკის, 'ბ" ბლოკის, დაცვის შენობისა და სატრანსფორმატოროს მშენებლობა.
ექსპერტის განმარტებით. დაწესებულებაში განხორცილებული ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ აშენებული იყო მხოლოდ „ა“ ბლოკი, დაცვის შენობა და სატრანსფორმატორო, ხოლო „ბ“ ბლოკი, რომელიც სპორტულ კომპლექსს წარმოადგენდა, აშენებული იყო ნაწილობრივ. აშენებული შენობებიდან ჯერ-ჯერობით მხოლოდ „ა“ ბლოკი იყო ექსპლუატაციაში მიღებული. „ა“ ბლოკი წარმოადგენდა ორი კორპუსის კომპლექსს, რომელიც შედგებოდა ოთხსართულიანი ადმინისტრაციული კორპუსისა და სამსართულიანი სასწავლო კორპუსისგან.
ექსპერტის განმარტებით, მიწის ფართზე არსებული ყადაღის გამო ვერ ხდებოდა მერიის მხრიდან უკვე ექსპლუატაციაში მიღებული შენობების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

დაწესებულების წარმოადგენლის განმარტებით, დაწესებულებას შესრულებული ჰქონდა საგადასახადო ვალდებულება, თუმცა ფიზიკური პირი, რომლისგანაც მოხდა მიწის ნაკვეთის

შემენა, იმყოფებოდა რუსეთში და მასთან ვერ მოხდა უძრავ ნივთზე ყადაღის მოხსნა და შესაბამისი დოკუმენტაციის მოწესრიგება.

2.3 ადამიანურ რესურსის სტანდარტთან მიმართებით

ექსპერტმა მარიამ ხუციშვილმა აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსის სტანდატთან მიმართებით დაწესებულებაში არანაირი ხარვეზი არ დაფიქსირებულა. სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრული იყო: 39 მასწავლებელი, 15 ადმინისტრაციის თანამშრომელი, 16 ასისტენტ მასწავლებელი, 19 ტექნიკური პერსონალი, 15 კაფეტერიის თანამშრომელი და 9 კლასგარეშე აქტივობის მასწავლებელი.

დაწესებულებაში ვიზიტის შედეგად დადინდა, რომ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების მიხედვით, შპს ბრიტანულ ქართულ აკადემიაში ირიცხებოდა 410 მოსწავლე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის ადამიანური რესურსი საკმარისი იყო სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს ბრიტანულ ქართულ აკადემიის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 635 მოსწავლისთვის.

აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 635-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად შპს ბრიტანულ ქართული აკადემიას (ს/კ:204497829) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 635-ით.

3. შპს კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმი ფესვების ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ნინო ფეტვიაშვილმა და მაია ბოჭორიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები თითოეულ სტანდარტთან მიმართებით.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით აღინიშნა:
ა) სასკოლო სასწავლო გეგმა აზუსტებდა სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას.
ბ) სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივ ბადეში მითითებული იყო საგნების საათობრივი დატვირთვა, რომელიც მოიცავდა, როგორც სავალდებულო და არჩევით, ასევე დამატებით სავალდებულო და ფაკულტატურ საგნებს. 25 %- ის ფარგლებში საათობრივ ბადეში შეტანილი იყო ცვლილება და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ რამდენიმე საგანს ემატებოდა საათები, კერძოდ: ქართული ენა და ლიტერატურას - VI კლ.-1 სთ.; VII-XI კლ -. 2 სთ; რუსული ენას - IV კლ. - 3 სთ.; V-IX კლ. -1 სთ; ინგლისური ენას - I – VIII კლ. - 1 სთ; IX- XI კლ. - 2 სთ.; XII -2 სთ; მათემატიკას - V –IX კლ. – 1 სთ; ქიმიას - X კლ. -1 სთ; ცეკვას - I-III კლ. - 2 სთ; IV კლ.-1 სთ.
XII კლასში, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, გათვალისწინებული იყო შემდეგი საგნების სწავლება: გეოგრაფია - 6 სთ; ისტორია - 4 სთ; ბიოლოგია - 6 სთ. XII კლასში ასევე ისწავლებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანი ლოგიკა - 5სთ.
არჩევით საგნებად სკოლა საშუალო საფეხურის მოსწავლეებს სთავაზობდა X კლასში - ხელოვნების ისტორიას, XI კლასში - მსოფლიო კულტურას, XII კლასში - სამედიცინო ბიოლოგიას.
გ) რიგ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ინფორმაცია იყო გაუმართვი, ჩარჩენილი იყო ძველი ჩანაწერები. ვიზიტის დროს შევიდა ცვლილებები სასკოლო სასწავლო გეგემაში, რომლითაც კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრა 12 მოსწავლით, შეიცვალა განსაზღვრული გამოცდების გრაფიკი, დაზუსტებულ იქნა სპორტის სახეობები და ა.შ. ასევე, სკოლას მიეცა რეკომანდაციები შეფასების სისტემისა და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის წარმოების პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ სკოლის სახელწოდება იწვევდა გაუგებრობას, დაწესებულება სკოლა - ლიცეუმი იყო, თუ კოლეჯი. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ მურღულია და აღნიშნა, რომ სათაურს უნდა გამოეხატა შინაარსი, ამიტომ სასურველი იქნებოდა მისი შესაბამისობაში მოყვანა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მათაც დაუსვეს სკოლას კითხვა, თუმცა დაწესებულებამ მათ განუმარტა, რომ თავიდაპირველად ისინი აპირებდნენ პროფესიული პროგრამის განხორციელებას და ამიტომ შეარჩიეს ასეთი სახელწოდება.

3.2 მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ:
ა) დაწესებულება მდებარეობდა ქ. თბილისში, გია რომელაშვილის ქ. №21-ში მდებარე ერთსართულიან შენობაში, რომელიც დაწესებულებას 2024 წლამდე იჯარით ჰქონდა აღებული.
ბ) დაწესებულება სასწავლო პროცესისთვის იყენებდა შენობის პირველ და 0 სართულებს. სკოლის შენობაში, ორივე სართულზე სულ 17 საკლასო ოთახი იყო განთავსებული: 0 სართულზე ექვსი, ხოლო პირველ სართულზე - 11 საკლასო ოთახი.
მოსწავლეთა რაოდენობა თითოეულ კლასში განსაზღვრული იყო 12 მოსწავლით. ამასთან, სკოლაში ვიზიტის დროს ირიცხებოდა 196 მოსწავლე.
გ)სკოლაში იყო კომპიუტერული კლასი, ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი. საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო მერხებით, სკამებითა და დაფებით. კლასებში განთავსებული იყო 196 ინდივიდუალური მერხი შესაბამისი რაოდენობის სკამებით. სკოლა დოკუმენტურად ფლობდა 215 ინდივიდუალურ მერხს შესაბამისი რაოდენობის სკამებით. ბიბლიოთეკაში მოხვედრა სკოლის შენობის პირველი სართულიდან ხის კიბით იყო შესაძლებელი, თუმცა ვიზიტის პერიოდში ბიბლიოთეკა გადმოიტანილ იქნა შენობის პირველ სართულზე, რათა შესვლა უფრო მოსახერხებელი ყოფილიყო.

საბჭოს წევრი ქეთევან აბულაძე დაინტერესდა, თუ რომელი კლასები იყო განთავსებული ნულოვან სართულზე და რამდენად იყო განათებული ეს კლასები.

ექსპერტის განმარტებით, 0 სართულზე განათავსებული იყო ზედა საფეხურის საკლასო ოთახები, რომლებიც ბუნებრივად იყო განათებული 2-2 პატარა ფანჯრით, საიდანაც პირდაპირი მზის შუქი შემოდიოდა.

3.3 ადამიანურ რესურსთან მიმართებით ექსპერტმა მაია ბოჭორიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა შესაბამისი ადამიანური რესურსი. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად დაწესებულებას ჰყავდა 32 პედაგოგი და შესაბამისი რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე რესურსი. კერძოდ, მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის მენეჯერი (IT), სკოლის ექიმი, ფსიქოლოგი და სხვ.

სკოლაში მომუშავე მასწავლებლები თავისი კვალიფიკაციით შეესაბამებოდნენ დაკავებულ თანამდებობისა და ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს. ყველა მასწავლებელს ჰქონდა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი და სერტიფიკატი. 32 მასწავლებლიდან შვიდი იყო უფროსი, ექვს პედაგოგს არ ქონდა სტატუსი, ხოლო დანარჩენი იყო პრაქტიკოსი მასწავლებელი.
დაწესებულების მხრიდან 28 თებერვალს გაგზავნილი იყო წერილი გლდანი-ნაძალადევის რესურსცენტრში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან პედაგოგთა სტატუსის მინიჭების შუამდგომლობის თხოვნით.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმი ფესვების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.
შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმი ფესვების ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 204-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად შპს კოლეჯი და სკოლა-ლიცეუმ ფესვებს (ს/კ:206262088) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 204-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 16:15 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
გრიგოლ მურღულია

მდივანი
თამარ ფხალაძე